სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

PMCG Research

აგვისტო 2023

2023 წლის აგვისტოში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **181 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა **- 278 ლარი,** ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა **130 ლარი** შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა აგვისტოში **542 ლარი** შეადგინა. გურიაში ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 1055 ლარი შეადგინა, აჭარაში - 515 ლარი, თბილისში - 515 ლარი, ხოლო კახეთში - 837 ლარი.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2023 აგვისტო, ლარი)



გრაფიკი 1: 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში).

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2023 წლის აგვისტოში, 2023 წლის ივლისთან შედარებით, 1.3%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2.2%-ით გაიზარდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 5.5%-ით გაიზარდა.

2023 წლის აგვისტოში, 2022 წლის აგვისტოსთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 5.1%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 6%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 9.6%-ით შემცირდა.

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2023 აგვ/ 2023 ივლ	2023 აგვ/ 2022 აგვ	2023 აგვ/ 2023 ივლ	2023 აგვ/ 2022 აგვ	2023 აგვ/ 2023 ივლ	2023 აგვ/ 2022 აგვ
კახეთი	2.8%	7.3%	16.5%	12.3%	-2.3%	4.8%
იმერეთი	-1.5%	4.0%	7.5%	6.1%	-11.3%	2.2%
გურია	1.4%	11.9%	16.4%	21.4%	-23.1%	-5.1%
ქვემო ქართლი	4.3%	0.0%	0.0%	0.0%	13.3%	-
აჭარა	1.3%	-0.2%	1.1%	-6.6%	-1.2%	19.9%
რაჭა	-6.9%	-9.5%	-	-	-6.9%	-9.5%
შიდა ქართლი	3.5%	11.5%	0.0%	12.5%	5.3%	10.8%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	3.5%	8.0%	9.2%	7.1%	0.1%	8.9%
სამცხე-ჯავახეთი	1.5%	3.9%	1.0%	0.3%	2.1%	7.2%
მცხეთა-მთიანეთი	7.0%	3.3%	13.2%	7.0%	-3.2%	-1.5%
თბილისი	0.7%	-12.6%	-0.2%	-11.7%	13.1%	-28.4%
სულ ფასების % ცვლილება	**1.3%**	**-5.1%**	**2.2%**	**-6.0%**	**5.5%**	**-9.6%**

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2023 წლის აგვისტოში, 2023 წლის ივლისის ფასებთან და 2022 წლის აგვისტოს ფასებთან შედარებით

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.
2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.
3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.